

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, **საპილოტე რეჟიმში** იწყებს გარე დაკვირვების მსურველი უფროსი მასწავლებლების რეგისტრაციას.

საპილოტე რეჟიმში გარე დაკვირვების პროცესი ჩატარდება მხოლოდ **შიდა ქართლის და იმერეთის** რეგიონში. რეგისტრაციის უფლება ექნება უფროს მასწავლებელს, რომელსაც სურს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან **ერთ-ერთ** მოთხოვნას:

ა) აქვს არანაკლებ 13 კრედიტქულა, მათ შორის მინიმუმ 2 კრედიტქულა მოპოვებული აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო სავალდებულო აქტივობებიდან. (2 სამოძღვრო გაკვეთილი და/ან კვლევა)

ბ) უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მოპოვების შედეგად, განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

## **I ეტაპი - რეგისტრაცია**

გარე დაკვირვების გავლის მსურველ პირი რეგისტრაციას ახორციელებს eshool-ის ელექტრონულ სისტემაში, სპეციალურ ბმულზე და აუცილებელია რეგისტრაციის დროს შეავსოს შემდეგი ინფორმაცია.

ა) საგანი, რომელსაც ასწავლის მასწავლებელი და რომელშიც სურს გარე დაკვირვების გავლა;

ბ) კლასი, რომელშიც გეგმავს გარე დაკვირვებისთვის საგაკვეთილო პროცესის წარმართვას;

## **II ეტაპი - გაკვეთილის გეგმის წარდგენა**

რეგისტრაციის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, დარეგისტრირებული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს გარე დაკვირვების განხორციელების პერიოდს თითოეული მასწავლებლისთვის. (დაკვირვების პროცესი დაიწყება შესაბამისი პერიოდის განსაზღვრის შემდეგ.)

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს გარე დაკვირვებაზე დარეგისტრირებულ მასწავლებლებისთვის გრაფიკის დადგენას, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრის (შემდგომში – რესურსცენტრი) ინფორმირებას.

გარე დაკვირვებაზე რეგისტრირებული მასწავლებელი მისთვის განსაზღვრული პერიოდის დაწყებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს შესაბამის პერიოდში მიყოლებით ჩასატარებელი 5 გაკვეთილის გეგმა, რომელთაგან ერთ-ერთზე განხორციელდება გარე დაკვირვება.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი გათვალისწინებულ ვადაში არ წარადგენს გაკვეთილის გეგმასა და მოთხოვნილ დოკუმენტაციას, მის გაკვეთილზე არ განხორციელდება გარე დაკვირვება.

მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის ჩატარება დაგეგმოს რეგისტრაციის დროს მითითებულ საგანში და კლასში.

მასწავლებლისთვის გაკვეთილის ჩატარების განსაზღვრული პერიოდის ან/და მასწავლებლის მიერ წარდგენილი ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, მასწავლებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით.